ბრძანება:**ბ30. 3025030001**
თარიღი:**30/01/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 მუხლის ,,დ“ პუნქტისა და მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულების და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 30 იანვრის **№:08-30250301** მოხსენებითი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს პრივატიზების მიზნით, ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქალაქ ლანჩხუთში მდებარე 41 236 კვ.მ. და 282 489 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები:**№:**27.106.48.890; **№:**27.06.48.895) ბოლოს ჩატარებული აუქციონის პირობებით;

2. საწყისი საპრივატიზებო საფასური - 2 996 949,46 (ორი მილიონ ცხრაასოთხმოცდათექვსმეტიათას ცხრაასორმოცდაცხრა ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარი შემცირდეს 35%-ით და განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 2 996 949,46 (ორი მილიონ ცხრაასოთხმოცდათექვსმეტიათას ცხრაასორმოცდაცხრა ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) **65 %-ით, რაც შეადგენს - 1 948 017,15 (ერთი მილიონ ცხრაასორმოცდარვაათას ჩვიდმეტი ლარი და თხუთმეტი თეთრი),** ხოლო ბიჯის სიდიდედ განისაზღვროს შეცვლილი საპრივატიზებო საფასურის 1% - 19 480,18 (ცხრამეტიათასოთხას ოთხმოცი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი;

3.უძრავი ქონების პრივატიზებისას შემძენმა შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში;

ბ) ქონების შემძენმა, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოაწყოს საერთაშორისო

სტანდარტების მქონე სპორტული ინფრასტრუქტურა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში;

გ) ქონების შემძენმა პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საპრივატიზებო უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარების მიზნით, ამავე უძრავ ქონებაზე სრულად განახორციელოს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ინვესტიცია (დღგ - ს გათვალისწინების გარეშე) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდატექვსმეტი) თვის ვადაში;

დ) მოეწყოს საავტომობილო გზა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 (რვა) თვის ვადაში საპრივატიზებოდ გამოტანილი მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებული N 27.06.48.022; N27.06.48.132 და N27.06.48.341 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული უძრავ ქონებებთან;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართი – ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქუჩა N26 კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი